ს ს ი პ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურ

ექსპერტიზის დასკვნა



WWW.EXPERTIZA.GOV.GE

ახორციელებს სხეულფასოვან **დამოუკიდებელ საექსპერტო** მომსახურებას:

- ვიდეო, ფონოსკოპიური და ჰაბიტოსკოპიური ექსპერტიზა;
- **ბალისტიკური, ტახეოლოგიური და დაქტილოსკოპიური ექსპერტიზა;**
- სატრანსპორტო ტექნიკის-ტახეოლოგიური ექსპერტიზა;
- ხელიაწერი და სახანძრო-ტექნიკური ექსპერტიზა;
- დოკუმენტების ტექნიკური და ხელწერის ექსპერტიზა; სასაქონლო ექსპერტიზა;
- ფინანსური და ბუღალტრული ექსპერტიზა;
- საინჟინრო ექსპერტიზა;
- ნავთობპროდუქტების ექსპერტიზა;
- ხვების პროდუქტების, თამბაქოს ნაწარმის, ალკოჰოლიანი და უალკოჰოლო სასმელების ექსპერტიზა;
- ქიმიურ-ნარკოლოგიური ექსპერტიზა;
- ქიმიურ-ტოქსიკოლოგიური ექსპერტიზა;
- **ნარკოლოგიური შემოწმება და ექსპერტიზა;**
- ნივთიერებათა, მასალათა და ნაკეთობათა, მცენარეთა ექსპერტიზა;
- სამედიცინო ექსპერტიზა (ცოცხალი პირებისა და გვამების, სამედიცინო-კრიმინალისტიკური);
- ისტორიული ექსპერტიზა;
- ბიოლოგიური ექსპერტიზა (გენეტიკური, სეროლოგიური);
- ფსიქიატრიული შემოწმება და ექსპერტიზა (ამბულატორიული, სტაციონარული);
- კომპიუტერული ექსპერტიზა.

ლაბორატორიებში დასაქმებულია გამოცდილი და კვალიფიციური ექსპერტები, რომლებიც უზრუნველყოფენ საექსპერტო კვლევების მაღალ ხარისხს და ბიუროს სახელით სასამართლო პროცესებზე თავად იცავენ გაკეთული დასკვნების ჭეშმარიტებას. ბიუროში დანერგილი ხარისხის მართვისა და კონტროლის სისტემა უზრუნველყოფს დამკვეთების მოთხოვნათა მაღალი პროფესიონალიზმით შესრულებას და კიდევ უფრო აძლიერებს ბიუროს ავტორიტეტს მომხმარებელთა შორის.

ექსპერტთა მაღალი პროფესიონალიზმი და ობიექტურობა ჩვენში სიმაყის გრძნობას იწვევს. ჩვენ ვცდილობთ დავაკმაყოფილოთ მომხმარებელთა მოთხოვნა და დავიმსახუროთ მათი პატივისცემა და ნდობა.

WWW.FORENSICS.GE

ლევან სამხარაულის სახელობის
სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო
LEVAN SAMKHARAULI NATIONAL FORENSICS BUREAU

საჯარო სამართლის იურიდიული პირი
LEGAL ENTITY OF PUBLIC LAW

№ 5002291717

27/04/2017

5002291717

შპს ეფდ-ს დირექტორს ბატონ ელდარ ბაირამოვს

(თბილისი ი.გოგებაშვილის I გას. N 31)

ბატონო ელდარ,
ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო, თქვენი მომართვის (ბიუროს 2017 წლის 6 აპრილის რეგისტრაციის N1002514917) საფუძველზე, გიგზავნით საინჟინრო ექსპერტიზის N002328917 დასკვნას.
დანართი:

ექსპერტის დასკვნა 18 ფურცლად;

საპროექტო დოკუმენტაცია 02 ალბომი - ერთი ფუთა

პატივისცემით,

გიორგი თვაური
ბიუროს უფროსი

თბილისი 0162, ჭავჭავაძის გამზ. N84
ქუთაისი 4600, ი. ჭავჭავაძის 2ა
ბათუმი, პ. მელიქიშვილის ქ. N102
(995 32) 2258484
info@expertiza.gov.ge

84 Chavchavadze ave., Tbilisi 0162
2A I. Chavchavadze str., Kutaisi 4600
102 P. Melikishvili str., Batumi
(995 32) 2258484
info@expertiza.gov.ge

WWW.EXPERTIZA.GOV.GE

002328917

ექსპერტის დასკვნა № 002328917

გაფრთხილება

კირიაკ ზავრიევის სამშენებლო მექანიკის, სეისმომედეგობის და საინჟინრო ექსპერტიზის ცენტრი ს(დეპარტამენტი) უფროსის მიერ განმემარტა ექსპერტის უფლება-მოვალეობები, რაც გათვალისწინებულია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 168-ე და საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 51-ე და 52-ე მუხლებით. ამასთან, ცრუ ჩვენების, ყალბი დასკვნის, საექსპერტო კვლევის ობიექტის დაუცველობისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის შესახებ გაფრთხილებული ვარ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 370-ე მუხლის შესაბამისად.

ექსპერტიზის ჩატარების საფუძველი

ექსპერტიზის სახეობა: საინჟინრო ექსპერტიზა

დამნიშნავი :

ორგანიზაცია: შპს ეფდ

თანამდებობა: დირექტორი

მისამართი: თბილისი ი.გოგებაშვილის I გას. N 31

სახელი და გვარი: ელდარ ბაირამოვი

საფუძველი: განცხადება

შემსრულებელი ექსპერტები :

ავთანდილ რომელაშვილი / კირიაკ ზავრიევის სამშენებლო მექანიკის, სეისმომედეგობის და საინჟინრო ექსპერტიზის ცენტრი (დეპარტამენტი)ს სამშენებლო მექანიკისა და ნაგებობათა სეისმომედეგობის სამმართველოს ექსპერტი, სპეციალობით მუშაობის 30 წლის სტაჟით.

ექსპერტიზის წინაშე დასმული კითხვები

გთხოვთ 06/04/2017 წლის #1002514917 განცხადებაში დასმულ კითხვაში შეიტანოთ ცვლილება და ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად: კერძოდ გთხოვთ მოგვცეთ დასკვნა შპს „ეფდ"-ს მიერ ქ. თბილისში ნ. ჩხეიძის ქ. 37-43 მიმდინარე მშენებლობას შეუძლია თუ არა ზიანის მიყენება მიმდებარედ არსებულ შენობაზე ნ. ჩხეიძის ქ. 37

გთხოვთ თქვენს მიერ გასატარებელი სამუშაოები განახორციელოთ დაჩქარებული წესით.

შემოსვლის თარიღი: 06.04.2017წ.

გასვლის თარიღი: 27.04.2017წ

დასკვნა

ქ. თბილისში, ნინო ჩხეიძის ქუჩა #37-ში მდებარე საცხოვრებელი სახლის ტექნიკური მდგომარეობა არადამაკმაყოფილებლია. დეფორმაციათა მიღებული კლასიფიკაციის მიხედვით საკვლევ შენობაზე განვითარებული დაზიანებები III-IV ხარისხისაა. შენობის დაზიანების ხასიათიდან გამომდინარე შეიძლება ითქვას, რომ დაზიანებები ძირითადად გამოწვეულია ხანგრძლივი ექსპლუატაციის მანძილზე გადატანილი სხვადასხვა ინტენსიობის მიწისძვრებით, ასაკობრივი ცვეთით და ტექნიკური მოუვლელობით. მომიჯნავე ნაკვეთში მიმდინარე მშენებლობა დაფუძნების პირობებიდან გამომდინარე საკვლევ შენობაზე არსებული დაზიანებების ხარისხის გაზრდას არ გამოიწვევს (იხ კვლევითი ნაწილი). ნინო ჩხეიძის ქუჩა #37-ში მდებარე შენობის მონაკვეთის ტექნიკური მდგომარეობა, რომელიც უშუალოდ ესაზღვრება სამშენებლო მოედანს, ავარიულია და უსაფრთხოების მიზნით საჭიროა განხორციელდეს მისი დემონტაჟი.

ავთანდილ რომელაშვილი

გამოკვლევა

2017 წლის 19 აპრილს ვიზუალურად შესწავლილი იქნა, ქ. თბილისში, ნინო ჩხეიძის ქუჩა #37-ში მდებარე საცხოვრებელი სახლის ტექნიკური მდგომარეობა.

ქ. თბილისში, ნინო ჩხეიძის ქუჩა #37-ში მდებარე ორსართულიანი საცხოვრებელი სახლი, რომელიც განთავსებულია მცირე დახრილობის მქონე რელიეფზე, სავარაუდოდ აშენებულია XIX საუკუნის მეორე ნახევარში. შენობა გეგმაში Г ფორმისაა. გაბარიტული ზომებით, დაახლოებით 12,0x14,0 და 7,0x8,0 მ. სართულის სიმაღლე იატაკიდან ჭერამდე 3,2 მ-ია. კედლები, სისქით 50-80 სმ ამოყვანილია აგურით ქვიშა-ცემენტ-კირის ხსნარზე. სართულშუა და სასხვენო გადახურვა ხისაა. სახურავი ოთხქანობიანი თუნუქის ბურულით ხის ნივნივებზე. სართულშუა გადახურვის დონეზე შენობას არ გააჩნია ანტისეისმური რკინაბეტონის სარტყელი. ეზოს მხრიდან მოწყობილია ხის აივნები, რომელიც ნაწილობრივ შემინულია. მომიჯნავე ნაკვეთში მიმდინარეობს მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობა. ამჟამად ამოყვანილია მიწისპირა ორი და მიწისზედა სამი სართული. არსებულ და ახალი შენობის კედლებს შორის მანძილი დაახლოებით 4,5 მ-ია და ქვაბულის ფერდი, რომლის სიმაღლეც მიწის ზედაპირიდან დაახლოებით 4,5-5,0 მ-ია დამაგრებულია ლითონის მილებით და ხის ფარებით. მილების დიამეტრი 150 მმ-ია, ხოლო ბიჯი 50-60 სმ. ფერდის სიმაღლის დაახლოებით შუა მონაკვეთში ლითონის მილები AIII კლასის ф20 არმატურით ჩაანკერებულია გრუნტში. საკვლევი შენობის განივ კედელზე, სამშენებლო მოედნის მხრიდან ლითონის მილკვადრატებით მოწყობილია დროებითი საყრდენები. (ფოტო 1, 2, 3, 4, 5, 6, 7)

დღევანდელი მდგომარეობით ნინო ჩხეიძის ქუჩა #37-ში მდებარე შენობის ფასადზე, ზღუდარების თავზე წარმოქმნილია ურთიერთსაწინააღმდეგო მიმართულების დახრილი ბზარები (ფოტო 8, 9). მშენებლობის მხარეს მდებარე ტორსული კედელი ნაწილობრივ ჩამონგრეულია, ხოლო კედლის დარჩენილ ნაწილზე განვითარებულია ნაპრალისებრი ბზარი (ფოტო 10, 11) ეზოში შესასვლელის თავზე სართულშუა გადახურვა და ხის შემინული აივანი დაცილდა კედელს და გადახრილია მშენებლობის მხარეს (ფოტო 12, 13) ნაწილობრივ ჩამოშლილია შუა განივი კედლის წყობა და პარაპეტი (ფოტო 14) იმავე განივ კედელზე დაახლოებით შუა მონაკვთში წარმოქმილია ვერტიკალური ბზარი და კედლის ნაწილი გადახრილია ვერტიკალური სიბრტყიდან (ფოტო 15) ეზოს მხრიდან მდებარე ხის აივანი დეფორმირებულია და მისი მზიდი ელემენტები დაზიანებულია მპალით (ფოტო 16). შენობის შიგა სივრცეში, ნინო ჩხეიძის ქუჩის მხარეს მდებარე ნაწილში, განივ და გრძივ კედლებზე წარმოქმნილია ნაპრალისებრი დახრილი ბზარები, კედლები დეფორმირებულია და დარღვეულია კედლის წყობის სწორხაზოვნება (ფოტო 17, 18, 19, 20, 21, 22) ასევე ეზოს მხრიდან მდებარე სახლის ნაწილზე, როგორც პირველ, ისე მეორე სართულზე განვითარებულია დახრილი ბზარები (ფოტო 23, 24, 25). შენობის ორივე ნაწილში იატაკი დახრილია. სახურავის ბურული დაზიანებულია და ატმოსფერული ნალექები აღწევს შენობის შიგა სივრცეში (ფოტო 26).

დეფორმაციათა მიღებული კლასიფიკაციის მიხედვით საკვლევ შენობაზე განვითარებული დაზიანებები III-IV ხარისხისაა. ამჟამად ექსპლუატაციაშია შიგა ეზოს მხრიდან მდებარე შენობის ნაწილი, რომელშიც მოხვედრა ხდება შენობის ავარიული მონაკვეთის გავლით, რაც საფრთხეს უქმნის, როგორც მაცხოვრებლებს, ასევე მშენებლობაზე დასაქმებულ პერსონალს. საჭიროა განხორციელდეს მშენებლობის მხარეს მდებარე შენობის ავარიული მონაკვეთის დემონტაჟი შესაბამისად დამუშავებული პროექტის მიხედვით.

ექსპერტიზაზე წარმოდგენილი გეოლოგიური დასკვნის მიხედვით მშენებარე ობიექტი დაფუძნებულია ძირითად ქანებზე, შესაბამისად არსებულ შენობაზე, უარყოფითი ზეგავლენა მოსალოდნელი არ არის, გარდა მძიმე ტექნიკის გადაადგილებით გამოწვეული ვიბრაციებისა, ამიტომ მშენებლობის მომარაგება უნდა განხორციელდეს სანაპიროს მხრიდან ან ნ. ჩხეიძის ქუჩის მხრიდან #37-ში არსებულ შენობამდე. არსებული შენობის მხრიდან ქვაბულის ფერდის ცალკეული მონაკვეთები არ არის დაცული ატმოსფერული ნალექების ზემოქმედებისაგან, რის გამოც ქვაბულის ფერდზე რამდენიმე ადგილზე წარმოქმნილია ღრმული. აუცილებელია ღრმულების ამოვსება და საკვლევ და მშენებარე ობიექტს შორის არსებული ქვაბულის შევსება დატკეპნილი გრუნტით (ფოტო 27, 28, 29). ამავე დროს დაცული უნდა იყოს დატკეპვნის ტექნოლოგიური პროცესები მცირე სიმძლავრის მექანიზმების გამოყენებით. ასევე სამშენებლო მოედნის მხრიდან მიჯნაზე არსებული შენობის მონაკვეთი, თუ არ მოხდება მისი დემონტაჟი (იხ ზევით) დაცული უნდა იყოს ბეტონის შემონაკირწყლის მოწყობით.

ამრიგად, ქ. თბილისში, ნინო ჩხეიძის ქუჩა #37-ში მდებარე საცხოვრებელი სახლის ტექნიკური მდგომარეობა არადამაკმაყოფილებლია. დეფორმაციათა მიღებული კლასიფიკაციის მიხედვით საკვლევ შენობაზე განვითარებული დაზიანებები III-IV ხარისხისაა. შენობის დაზიანების ხასიათიდან გამომდინარე შეიძლება ითქვას, რომ დაზიანებები ძირითადად გამოწვეულია ხანგრძლივი ექსპლუატაციის მანძილზე გადატანილი სხვადასხვა ინტენსიობის მიწისძვრებით, ასაკობრივი ცვეთით და ტექნიკური მოუვლელობით. მომიჯნავე ნაკვეთში მიმდინარე მშენებლობა დაფუძნების პირობებიდან გამომდინარე საკვლევ შენობაზე არსებული დაზიანებების ხარისხის გაზრდას არ გამოიწვევს (იხ კვლევითი ნაწილი). ნინო ჩხეიძის ქუჩა #37-ში მდებარე შენობის მონაკვეთის ტექნიკური მდგომარეობა, რომელიც უშუალოდ ესაზღვრება სამშენებლო მოედანს, ავარიულია და უსაფრთხოების მიზნით საჭიროა განხორციელდეს მისი დემონტაჟი.

002328917

ავთანდილ რომელაშვილი

გამოყენებული მასალები

1. СП-13-102-2003

2. სნწ 3ნ. 01.01-09 "სეისმომედეგი მშენებლობა"

3. СНиП 2-03. 01-84* ბეტონისა და რკ/ბ კონსტრუქციები.

4. СНиП 2-01. 07-85* დატვირთვები და ზემოქმედება.

5. საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე განლაგებული საცხ. და საზ. შენობების გამოკვლევისა და სეისმომედეგობის თვალსაზრისით მათი ტექნიკური მდგომარეობის დადგენის ინსტრუქცია. თბილისი 1992 წ.

6. ქ. თბილისში, ნ. ჩხეიძის ქ. #37 და #45-ს შორის მიწის ნაკვეთზე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის პროექტი და გეოლოგიური დასკვნა.

ექსპერტის დასკვნა ტექნიკური წესით გადაამოწმა: ზაზა ყიფიანი

ექსპერტის დასკვნა ადმინისტრაციული წესით გადაამოწმა: ბადრი ლეფსაია

ფოტოილუსტრაცია



ფოტო 1



ფოტო 2



ფოტო 3



ფოტო 4



ფოტო 5



ფოტო 6



ფოტო 7



ფოტო 8



ფოტო 9



ფოტო 10



ფოტო 11



ფოტო 12



ფოტო 13



ფოტო 14



ფოტო 15



ფოტო 16



ფოტო 17



ფოტო 18



ფოტო 19



ფოტო 20



ფოტო 21



ფოტო 22



ფოტო 23



ფოტო 24



ფოტო 25



ფოტო 26



ფოტო 27



ფოტო 28



ფოტო 29

სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს პარტნიორი ორგანიზაციები:

ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს ანტინარკოტიკული და სამართალდაცვითი პროგრამა (INL Program):

სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო წლების მანძილზე აქტიურად თანამშრომლობს ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს ანტინარკოტიკულ და სამართალდაცვით პროგრამასთან (INL Program).

INL- ის დახმარებით რეკონსტრუქცია ჩაუტარდა ბიუროს ცენტრალურ ოფისს, სრულად აღიჭურვა ბიუროს დნმ ლაბორატორია და სხვადასხვა ლაბორატორიებისათვის შეძენილ იქნა საჭირო უახლესი აპარატურა. INL –ის ორგანიზებით მუდმივად ხდება ბიუროს ექსპერტების დატრენინგება ექსპერტიზის თანამედროვე მეთოდების შესწავლის მიზნით.

INL-ი ასევე ბიუროს აქტიურად უწევს კონსულტაციას ხარისხის მართვის პროცედურების შემუშავებაში, რაც ხელს უწყობს სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროში ISO:17025 საერთაშორისო სტანდარტის მოთხოვნების დანერგვას.

სასამართლო ექსპერტიზის დაწესებულებათა ევროპული ქსელი (ENFSI):

სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ლაბორატორიები გაწევრიანებული არიან სასამართლო ექსპერტიზის დაწესებულებათა ევროპული ქსელის (ENFSI) სამუშაო ჯგუფებში:

- დნმ-ის სამუშაო ჯგუფი (DNA Working Group)
- ნარკოტიკების სამუშაო ჯგუფი (Drugs Working Group)
- მინისა და ლაქ-საღებავების სამუშაო ჯგუფი (Paint and Glass Working Group)

სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს გაწევრიანებული ლაბორატორიები აქტიურად მონაწილეობენ ENFSI–ის სამუშაო ჯგუფების მიერ ორგანიზებულ საერთაშორისო სამუშაო შეხვედრებზე და ლაბორატორიების საკვალიფიკაციო ტესტირებაში.

ჰოლანდიური საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაცია - ფონდი „გლობალური ინიციატივა ფსიქიატრიაში“:

„გლობალური ინიციატივა ფსიქიატრიაში“ ფონდის დახმარებით დაპროექტდა და აღიჭურვა სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ფსიქიატრიული ექსპერტიზის დეპარტამენტის ახალი შენობა.

ასევე ფონდის დახმარებით ბიუროს ექსპერტთათვის პერიოდულად ტარდება სასემინარო სწავლებები სასამართლო ფსიქიატრიის აქტუალური საკითხების სფეროში.

თურქეთის სასამართლო მედიცინის საბჭო (Adli Tip Kurumu):

ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის ფარგლებში, მიმდინარეობს სამეცნიერო თანამშრომლობა სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროსა და თურქეთის სასამართლო მედიცინის საბჭოს შორის, რომლის მიზანია განავითაროს [illegible] სასამართლო ექსპერტიზის სფეროში, განახორციელოს ინფორმაციის, იდეებისა და ცოდნის გაცვლა სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროსა და თურქეთის სასამართლო მედიცინის საბჭოს ლაბორატორიებს შორის.

სახელმწიფო ექსპერტიზის ბიურო - ლატვია (State Forensic Science Bureau):

სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო თანამშრომლობს ლატვიის სახელმწიფო ექსპერტიზის ბიუროსთან მინის, ლაქ-საღებავებისა და ბოჭკოების ექსპერტიზის მიმართულებით. თანამშრომლობა ითვალისწინებს კვლევის თანამედროვე მეთოდებზე ინფორმაციისა და ლიტერატურის გაზიარებას და სამეცნიერო გაცვლითი პროგრამების ორგანიზებას.

ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტო (IAEA):

სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო თანამშრომლობს ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტოსთან, რომელიც უზრუნველყოფს ბიუროს ექსპერტების გადამზადებას გარემოს რადიაციული მონიტორინგის საკითხებში. სწავლება მიმდინარეობს შესაბამისი თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით.

WWW.FORENSICS.GE

WWW.EXPERTIZA.GOV.GE WWW.FORENSICS.GE

თბილისი 0162, ჭავჭავაძის გამზ. N84
84 Chavchavadze ave., Tbilisi 0162, Georgia
(995 32) 225 84 84
(995 32) 229 05 24
info@forensics.ge

ქუთაისი 4600, ჭავჭავაძის ქ. N2ბ
2b Chavchavadze str., Kutaisi 4600, Georgia
(995 431) 21 30 03
info@forensics.ge

ბათუმი 6000, პუშკინის ქ. N145
145 Pushkini str., Batumi 6000, Georgia
(995 422) 27 94 30
info@forensics.ge